1977

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

6-7

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ივნისი—ივლისი

F 4518

თბილისი—1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 28 ივნისის ბრძანება № 449

მეტყველებაში სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ლოგოპედიური პუნქტების დიდი უმრავლესობა რეალურ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად და განათლების სამინისტროს 1976 წლის ბრძანებათა და ინსტრუქციათა მე-11 კრებულში გამოქვეყნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულების უხეში დარღვევით არის გახსნილი: ორჯონიკიძის, კალინინის, I მაისის, ოქტომბრისა და კიროვის რაიონების თითქმის ყველა სკოლასთან შექმნილია პუნქტები, მაშინ, როდესაც ლენინის, 26 კომისრის და საქარხნო რაიონებში, რომლებშიც მეტია სკოლები და მეტყველებადარღვეული ბავშვებიც, ლოგოპედიური პუნქტების რაოდენობა უმნიშვნელოა. ამასთან ითვლება მათგანი 25 დაწყებითი კლასის ნაცვლად ემსახურება გაცილებით ნაკლებს, რაც ყოვლად დაუშვებელია,

სერიოზული დარღვევებია ლოგოპედების დანიშვნის საქმეში. დებულებით გათვალისწინებული დეფექტოლოგიური ან ფსიქოლოგიური განათლების მქონე პედაგოგთა ნაცვლად ამ თანამდებობაზე მხოლოდ ფილოლოგები ინიშნებოდნენ; თბილისის ლოგოპედიურ პუნქტებში მომუშავე 70 ლოგოპედიდან დეფექტოლოგიური განათლება აქვს მხოლოდ რვას. დანარჩენები ქართული, რუსული ან უცხოური ენების სპეციალისტები არიან და გავლილი აქვთ ლოგოპედია მოკლევადიანი კურსები, რაც სრულებით არ არის საკმარისი დეფექტოლოგიის ასეთ რთულ დარგში სამუშაოდ.

რესპუბლიკაში მოუგვარებელია ლოგოპედთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახმარების საქმეც.

საქართველოს სსრ
ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტყველებაში სხვადასხვა გადახრების, განსაკუთრებით ძმიმე დარღვევების მქონე ბავშვთა სწავლებისა და მკურნალობის საქმეს. რესპუბლიკაში კი სკოლამდელი ასაკის ამ კატეგორიის ბავშვებისათვის მხოლოდ თბილისისა და სოხუმის რამდენიმე ბაღშია გახსნილი ჯგუფები, რაც შეეხება სასკოლო ასაკის ბავშვებთან საკორექციო მუშაობას იგი ძალზე დაბალ დონეზე დგას და ფაქტიურად მხოლოდ ცალკეულ სპეციალისტთა პირადი ინიციატივით შემოიფარგლება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1; ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. ლ. ჩიქვანაია)

—მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე გადასინჯოს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების ქსელი და მოახდინოს მათი გადანაწილება რაიონებს შორის.

—პირველ რიგში გაითვალისწინოს იმ პუნქტების გადანაწილება, რომლებიც გახსნილი იქნენ ორჯონიკიძის I მაისის, კალინინის, ოქტომბრისა და კიროვის რაიონების სკოლებში განათლების სამინისტროს 1972 წლის 2 თებერვლის № 1 ბრძანების დარღვევით.

—თბილისში არსებული ლოგოპედიური პუნქტების ქსელის მოსაწესრიგებლად მიღებული ზომებისა და მისი შედეგების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე.

2. რესპუბლიკაში ლოგოპედთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან შეიქმნას ლოგოპედიური ცენტრი, სამი ლოგოპედ-მეთოდისტის შემადგენლობით, ინსტიტუტისათვის ამჟამად დამტკიცებული საშტატო ერთეულების ფარგლებში, 1970 წლის 1 იანვრიდან ამ საშტატო ერთეულების საკომპენსაციოდ ინსტიტუტს დამატებით მიეცეს სამი საშტატო ერთეული.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე ლოგოპედთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად 1978 წლიდან (ზაფხულის არდადეგების დროს) რეგულარულად მოაწყოს დახელოვნების ერთთვიანი კურსები.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ლოგოპედიური პუნქტების გახსნასა და ლოგოპედთა დანიშვნის დროს მკაცრად დაიცვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების დებულების მოთხოვნები;

—კატეგორიულად აღკვეთონ ლოგოპედთა დანიშვნა ლოგოპედიური ცენტრის რეკომენდაციების გაუთვალისწინებლად;

—წინასწარ დააზუსტონ და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გადმოუგზავნონ სიები იმ ლოგოპედებისა, რომლებსაც პირველ რიგში ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ამაღლება.

5. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) თბილისის განათლების განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს თბილისში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ბაზაზე 1978 წლის სექტემბრისათვის მეტყველებაში მცირე დარღვევების მქონე ბავშვთა სადღეღამისო რესპუბლიკური ბაგა-ბაღის გახსნის შესაძლებლობის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მომახსენოს მიმდინარე წლის I ოქტომბრისათვის.

6. მიმდინარე წლის I სექტემბრიდან თბილისის III ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ბაზაზე გაიხსნას მეტყველებაში სხვადასხვა გადახრების მქონე ბავშვებისათვის ორი დაწყებითი კლასი გახანგრძლივებული დღის ორი ჯგუფით.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს საერთო მეცნიერული ხელმძღვანელობა გაუწიოს თბილისის III ექსპერიმენტულ სკოლასთან გახსნილ სპეციალურ კლასებს.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) თბილისის III ექსპერიმენტული საშუალო სკოლის 1977 წლის, ხოლო მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის 1979 წლის ბიუჯეტში შესაბამისად გაითვალისწინოს ორი დაწყებითი სპეციალური კლასისა (გახანგრძლივებული დღის ჯგუფებით) და ლოგოპედიური ცენტრის დასაფინანსებლად საჭირო ხარჯები.

9. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ჰ. თუთბერიძე), ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დეფექტოლოგიის სექტორსა და ლოგოპედიის ცენტრთან ერთად შეარჩიოს ლოგოპედთა დასახმარებლად საჭირო ლიტერატურა და უზრუნველყოს მათი გამოცემა მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში.

10. სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის სამმართველოებმა (ამხ. ამხ. ე. ქურციკიძე, გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესონ აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 23 ივნისის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ო. ჭინჭლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1977 წლის 23 ივნისის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციის დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ

1. დამტკიცდეს 1977 წლის 19 მაისის ჟიურის სხდომის ოქმი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციის დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ.

2. გამარჯვებულად ჩაითვალოს და მიეცეს პირველი ადგილი და ფულადი პრემია 400—400 მანეთი თითოეულს:

—რუსთავის მე-11 საშუალო სკოლასთან არსებულ სასკოლო კვების კომბინატის სასადილოს კოლექტივსა (სასადილოს გამგე ლ. ლაპტევა) და მე-11 სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი დ. მგალობლიშვილი);

—მეორე ადგილი და პრემია 300—300 მანეთი თითოეულს:

—თბილისის მე-2 საშუალო სკოლასთან არსებულ ოქტომბრის რაიონის სასკოლო კვების კომბინატის სასადილოს კოლექტივსა (სასადილოს გამგე—ს. პოდლევსკაია) და თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი—ს. ჩილინგარიდი); ჭიათურმარგანეცის № 35 სასადილოსა (სასადილოს გამგე—შ. ღავაძე) და ჭიათურის მე-7 საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი —ლ. ვაშაძე);

—მესამე ადგილი და ფულადი პრემია 200—200 მანეთი ... თოეულს:

—რუსთავის 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებულ საზოგადოებრივი კვების კომბინატის სასადილოს კოლექტივსა (სასადილოს გამგე —ლ. კოხრეიძე) და რუსთავის 1-ლი საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი—ნ. სანოძე); თბილისის გახანგრძლივებული დღის 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებულ ორჯონიკიძის რაიონის სასკოლო კვების კომბინატის სასადილოს კოლექტივსა (სასადილოს გამგე—გ. მონადირაშვილი) და გახანგრძლივებული დღის 1-ლი საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი—ა. შერეზადაშვილი); გაგრის კურორტვაჭრობის № 7 სასადილოს კოლექტივსა (სასადილოს გამგე—ა. შუბლაძე) და გაგრის მე-2 საშუალო სკოლის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი—ა. კაპბა).

3. მინიჭებული პრემიები სასადილოების, სასკოლო კვების კომბინატებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კოლექტივებს თანაბრად გაუნაწილდებათ: საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კოლექტივებს—საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ, სკოლებს—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების მომსახურების საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში საპრიზო ადგილებზე გამოსულ სასადილოთა და სკოლების კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის	საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **მ. მეგრელიშვილი**	მინისტრი **ო. ჭინჭლაძე**
სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **კ. გურული**	განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 1 ივლისის ბრძანება № 457

მოსწავლეთა XI საკავშირო ოლიმპიადის შედეგების შესახებ *

1976—77 სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლა-ინტერნატების პედკოლექტივების მიერ განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა საგნობრივი ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საერთო დონის ასამაღლებლად, რის შედეგადაც მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ორგანიზებულად ჩატარდა შინასასკოლო, სარაიონო, ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადები.

საკავშირო ოლიმპიადებში მონაწილეობისათვის შერჩეულ კანდიდატებთან ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გ. ჯანაშიამ და ასპირანტებმა ი. დემეტრაშვილმა, თ. ბუჩუკურმა, ე. ლაგვილავამ და ნ. ქარელმა (მათემატიკაში), თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ჩუცკოვმა (ფიზიკაში), რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო. ფიზიკაში საკავშირო ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებისათვის III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე პ. მიდოდაშვილი, ხოლო მათემატიკაში ამავე სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე ა. სარჩიმელია დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით. იგი 1978 წელს მე-12 საკავშირო ოლიმპიადაზე კონკურსგარეშე მონაწილეობისათვის პერსონალურად არის მიწვეული. ამავე სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელი ა. ამბროლაძე დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით, იგი შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და მონაწილეობას მიიღებს ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადაში, რომელიც გაიმართება იუგოსლავიაში.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-11 საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურზე რესპუბლიკის მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებების გამო

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

—დაჯილდოვდნენ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით (30—40 მანეთის ფარგლებში) ქ. თბილისის ვ. ი. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები ა. სარჩიმელია, ა. ამბროლაძე, პ. მიდოდაშვილი.

—გამოეცხადოს მადლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს გ. ჯანაშიას, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს ვ. ჩუკკოვს და უნივერსიტეტის ასპირანტებს ი. დემეტრაშვილს, თ. ბუჩუკურს, ე. ლაგვილავას და ნ. ქარელს.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 4 ივლისის ბრძანება № 470

თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ

თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი მათემატიკური დისციპლინებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე ასობით მოზარდს ემსახურება და ამით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდობის მათემატიკური კულტურის ამაღლების საქმეში. ინტერნატის წარმატებებზე მეტყველებს ნორჩ-მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა რესპუბლიკურ და საკავშირო ოლიმპიადებზე მოპოვებული საპრიზო ადგილები. მიმდინარე წელს ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გაიმარჯვა ამ სკოლა-ინტერნატის 40-მა აღსაზრდელმა, ფიზიკის—11-მა, ხოლო ქიმიის ოლიმპიადაში—3-მა. წელსვე საკავშირო მათემატიკურ ოლიმპიადაზე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებით დაკომპლექტებულმა რესპუბლიკის ნორჩ მათემატიკოსთა გუნდის 4-მა წევრმა საპრიზო ადგილები დაიკავა, ხოლო ერთი მათგანი შეყვანილი იქნა საკავშირო ნაკრებ გუნდში. სკოლა-ინტერნატის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მათემატიკური პროფილების მიხედვით წჩრმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

მიუხედავად წარმატებებისა სკოლა-ინტერნატის (დირექტორი აკ. ცხადაია, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ა. ბუაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში მ. ბურდული) მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ამ ნაკლოვანებებიდან მთავარი არის ის, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლებას, მოსწავლეები შედარებით სუსტად არიან დაუფლებული საპროგრამო მასალას დედაენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, ისტორიასა და

სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში, რითაც მნიშვნელოვნად ზიანდება ზოგადი განათლების, ჰარმონიული განვითარების ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლები ახერხებენ მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობების აქტივიზაციასა და მოსწავლეთა მუშაობისათვის კვლევა-ძიებითი ხასიათის მინიჭებას, მათემატიკისა და ფიზიკის სწავლებაში ჯერ კიდევ გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა; კერძოდ, ამ საგნების მასწავლებლები სწავლების პროცესში ნაკლებად ითვალისწინებენ მოსწავლეთა იდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებობებს, ყველა მოსწავლეს თავაზობენ მუშაობის ერთსადაიმავე რიტმს, თანაბარი სიძნელის სავარჯიშო ამოცანებს, რაც გამორიცხავს მოსწავლეებთან დიფერენცირებული მიდგომისა და უფრო მაღალი აკადემიური შედეგების მიღების შესაძლებობებს.

ფიზიკის გაკვეთილებზე ხელსაწყო-იარაღებით კარგად აღჭურვილი კაბინეტების არსებობის მიუხედავად, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ყველა ინდივიდუალური, ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოები, მოსწავლეთა დიდი ნაწილი არაა დაუფლებული ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკას, ამიტომ უძნელდებათ პრაქტიკული სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულება.

საწოლო მუშაობა როგორც მათემატიკაში, ასევე ფიზიკაშიც ერთფეროვანია, საჭიროებს გამრავალფეროვნებას.

აღმზრდელ-მასწავლებელთა კოლექტივი ერთობ ფორმალურად ეკიდება საალმზრდელო ამოცანებთან სწავლების საქმის ორგანულად დაკავშირებას და ვერ ახერხებს შემოქმედებითი ხასიათი მისცეს მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივ აღზრდას, ესთეტიკურ საქმიანობას და შრომის კულტურის დანერგვას. ამ თვალსაზრისით ინტერნატის მთელი მუშაობა მხოლოდ ეპიზოდური ხასიათის ღონისძიებების ჩატარებით შემოიფარგლება. აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე მნიშვნელოვნად არის გამოწვეული იმით, რომ ინტერნატის დირექცია საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევს კომკავშირულ და სხვა სასკოლო ორგანიზაციებს საიმისოდ, რომ დაძლეულ იქნეს შაბლონი და საალმზრდელო საქმიანობაში დამყარდეს ცოცხალი—შემოქმედებითი სტილი და მეთოდები.

სკოლა-ინტერნატი სათანადო ზრუნვას იჩენს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის (ექ. გ. გერსამია), მაგრამ სამედიცინო ზედამხედველობის შესუსტების გამო მოუწესრიგებელი აღმოჩნდა კვე-

ბის ბლოკის თანამშრომელთა სანიტარული წიგნაკები, რამაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა საგანგებო შემთხვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად არის გამოწვეული შიდასასკოლო ზედამხედველობის მოდუნებითა და შესუსტებით, ინტერნატის დირექტორის მხრივ საკადრო დისციპლინის დარღვევით, რაც იმით გამოიხატა, რომ მან 1976 წლის 20 ნოემბერს თვითნებურად დანიშნა ექიმ-პედიატრის ვაკანტურ ადგილზე საკუთარი ქალიშვილი და მხოლოდ განათლების სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ გაანთავისუფლა იგი თანამდებობიდან მიმდინარე წლის 9 მარტს

სკოლა-ინტერნატში არასწორად არის დაკომპლექტებული საღრიცხვო ჯგუფები, რამაც განაპირობა ფინანსიური დარღვევები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

სკოლა-ინტერნატის დირექციამ (დირექტორი აკ. ცხადაია):

—მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების, განვითარების, მათი ბეჯითობისა და დაკვირვებულობის მიზან-ჩვევების შეიარაღების, შეგნებული და მყარი ცოდნით უზრუნველყოფის მიზნით განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები, მიაღწიოს იმას, რომ ყველა მასწავლებლის საქმიანობაში მკვიდრად იქნეს დანერგილი სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამებით გათვალისწინებული მასალის აქტიურად, შეგნებულად და საფუძვლიანად ათვისებას;

—ახალი სასწავლო წლიდან სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის კაპიტალურად შეკეთებისა და მიშენების სამუშაოების დამთავრების შემდეგ სწავლება ინტერნატში გადაიყვანოს კაბინეტურ სისტემაზე, რომ ყველა მასწავლებელი გაკვეთილების მსვლელობაში იყენებდეს თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს და ასრულებდეს პროგრამით გათვალისწინებულ ცდებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს;

—ფიზიკასა და მათემატიკაში თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა-ძიებითი მუშაობის გაფართოების მიზნით მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს თბილისში არსებულ შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და ლაბორატორიებთან;

—სისტემატური კონტროლი დააწესოს აღმზრდელთა მუშაობა-

ზე; გადაჭრით აღკვეთოს საალმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტებაში არსებული უხეში დარღვევები—მიაღწიოს იმას, რომ თითოეული აღმზრდელი მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივ, ესთეტიკურ, ინტერნაციონალურ და შრომით აღზრდას; მეტი ზრუნვა გამოიჩინოს მოსწავლეთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების განვითარების მიმართ;

—მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მკაცრი კონტროლი დააწესოს სკოლა-ინტერნატში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე; სისტემატურად შეამოწმოს სკოლა-ინტერნატისა და კვების ბლოკის თანამშრომელთა სანიტარული მდგომაოეობა, უზრუნველყოს ის, რომ თითოეული მუშაკი სამედიცინო შემოწმებას გადიოდეს საამისოდ დაწესებულ ვადებში.

—აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილოს პედაგოგიური საჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

§ 2

—კადრების დანიშვნისა და საალმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტების საქმეში დარღვევების, პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტების გამო სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. აკ. ცხადაიას გამოეცხადოს საყვედური;

—სკოლა-ინტერნატში სამედიცინო ზედამხედველობის შესუსტებისა და კვების ბლოკის თანამშრომელთა სანიტარული წიგნაკების მოუწესრიგებლობის გამო ექიმ გ. გერსამიას გამოეცხადოს საყვედური.

§ 3

—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) საჭირო ზედამხედველობა და დახმარება გაუწიოს ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატს სასწავლო-საალმზრდელო და მეთოდურ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 23 ივნისის დადგენილება.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 14 ივლისის ბრძანება № 480

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მოამზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლებმა 1976—1977 სასწავლო წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს დაწყებით სამხედრო მომზადებაში მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად. ორგანიზებულად ჩატარდა მეცხრე კლასის მოსწავლე ვაჟების 5-დღიანი საველე მეცადინეობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა დაწყებითი სსმხედრო მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, რესპუბლიკის 269 სკოლაში აშენდა მარტივი ტიპის ღია, ნახევრად დახურული და დახურული ტირები, რამაც განაპირობა 121.450 მოსწავლის მიერ სკოლაში მშთ კომპლექსის ნორმებზე ჩაბარება.

ბევრი სკოლის სამხედრო კაბინეტი და სამხედრო ტექნიკური მომზადების კლას-კაბინეტი აღიჭურვა თვალსაჩინო ხელსაწყოებით და ტაბელით გათვალისწინებული ქონებით, 1573 საშუალო სკოლის იარაღების შესანახ ოთახში მოეწყო გამაფრთხილებელი დამცავი სიგნალიზაცია.

მიუხედავად აღნიშნულისა სკოლების გარკვეულ ნაწილში არასათანადო ყურადღება ექცევა დაწყებითი სამხედრო მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ასე მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არც ერთი მარტივი ტიპის სასროლი ტირი არ აშენებულა ქ. ქ. ფოთის, ზუგდიდის, აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, ბოგლანოვკის, დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ონის, საგარეჯოს, წალკის, გაგრის, ლენინგორის, ზნაურის ჯავისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებში.

რესპუბლიკის რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენებული სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობა, მათი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა და თვითგანათლების საკითხი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო პატრიოტულ აღზრდაზე, რისთვისაც ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან და სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან ერთად შექმნან კომპლექსური შემოწმების კომისიები და სასწავლო წლის განმავლობაში როგორც წესი, 1—2 ჯერ შეისწავლონ თითოეულ სკოლაში ამ საგნის სწავლების მდგომარეობა;

—ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ საკითხი ქალაქის (რაიონის) საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობისა და მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ:

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამხედრო ხელმძღვანელთა ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, სამხედრო ხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთი მომზადებისა და პედაგოგიური მუშაობის მაჩვენებლებით ვერ პასუხობენ სკოლის წინაშე დასმულ ამოცანებს ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან;

—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად მოაწესრიგონ სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანების მუშაობა,

—სამხედრო ხელმძღვანელები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას მიავლინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სასწავლო-მეთოდურ შეკრებაზე;

—განამტკიცონ სასკოლო მატერიალური ბაზა, იმ ანგარიშით, რომ 1977 წლის 25 აგვისტომდე თითოეულ სკოლას მოქმედი დებულების შესაბამისად მოწყობილი ქონდეს სამხედრო კაბინეტი, იარა-

ლების შესანახი ოთახი, სამხედრო ტექნიკური მომზადების კლასი და მარტივი ტიპის საკუთარი ან სასკოლათშორისო ტირი;

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას, რისთვისაც შეიმუშაონ სამხედრო-პატრიოტული მუშაობის ახალი სრულყოფილი ფორმები და მეთოდები და 1977 წლის 10 სექტემბრიდან თითოეული რაიონის 1—2 მოწინავე სკოლაში შექმნან სამხედრო-პატრიოტული და ზნეობრივი აღზრდის სახალხო უნივერსიტეტები:

დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო პატრიოტულ აღზრდაში ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ მოწინავე სკოლებისა და სამხედრო ხელმძღვანელების დადებითი გამოცდილება;

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორებმა:

—გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების და სამხედრო პატრიოტული აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

—სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიონ სკოლაში მომუშავე სამხედრო ხელმძღვანელებს, როგორც წესი თვეში 1—2 ჯერ დაესწრონ სამხედრო მომზადების გაკვეთილს:

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, რისთვისაც, ამ ღონისძიებების განსახორციელებლად მუშაობაში ჩააბან სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი და შეფი სამხედრო ნაწილები. სკოლებთან მოაწყონ საბრძოლო დიდების მუზეუმები, ოთახები, გალერეები, საბჭოთა ხალხის რევოლიუციური და შრომითი საქმიანობის ამსახველი სტენდები და გამოფენები; მოსწავლეთა შორის ფართოდ აწარმოონ წითელ კვალისმაძიებელთა შემოქმედებითი მუშაობა;

—განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამხედრო-სასწავლო იარაღების მიღების, შენახვისა და გამოყენების საქმეს, არ დაუშვან მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევები და მუდმივი კონტროლი დააწესონ დამცავი გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის შეუფერხებელ მუშაობასა და ღამის დარაჯების მორიგეობაზე;

დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი).

—რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სათანადო გაფრთხილებასთან ერთად სისტემატურად შეამოწმოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობა და შედეგები მომახსენოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მეტი ყურადღება დაუთმოს სოფლის სკოლებში მომუშავე სამხედრო ხელმძღვანელების მეთოდური მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 25 ივლისის ბრძანება № 498

სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით 1977 წლის 14—20 ოქტომბერს თბილისში ჩატარდება—„მსოფლიო კონფერენცია ბუნების დაცვის სწავლების შესახებ„.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია რესპუბლიკის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივებმა სათანადოდ განიხილონ და შეისწავლონ მსოფლიო კონფერენციაზე შემუშავებული ის რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება ბუნების დაცვის მნიშვნელოვან საქმეში ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმის პრობლემურ საკითხებს.

სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ;

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა 1977—78 წლების კალენდარული გეგმა (თან ერთვის).

2. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ, ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე, სკოლისგარეშე დაწესებულებებამდე, დაინტერესებულ უწყება-ორგანიზაციებამდე აღნიშნული კალენდარული გეგმა.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია დაინტერესებულ უწყება-ორგანიზაციებთან.

4. წინადადება მიეცეს ორგანიზაციებსა და უწყებებს მოსწავლეთა და სახალხო განათლების მუშაკთა მასობრივი და რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარებისას იხელმძღვანელონ ამ კალენდარული გეგმით და სადირექტივო ორგანოების იმ გადაწყვეტილებებით, რომ მოსწავლეთათვის და სახალხო განათლების მუშაკთათვის განკუთვნილი მასობრივი და ცალკეული ღონისძიებები, რომლებსაც რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები და მათი ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ, შეთანხმებულ უნდა იქნეს განათლების სამინისტროსთან და განათლების შესაბამის ორგანოებთან.

5. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და სკოლების სამმართველოს (ამხ. ე. ქურციკიძე).

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ო. ჭინჭლაძე**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. დ. ჭინჭლაძე

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა 1977—78 წლების კალენდარული გეგმა

	ღონისძიებათა დასახელება	ჩატარების დრო ადგილი	ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები
1	2	3	4
1	ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური საზოგადოების შექმნა; —საზოგადოების დებულების შემუშავება	1977 წლის ივლისი—აგვისტო	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე).
2	საზოგადოებრივ საწყისებზე ნორჩ ნატურალისტთა რაიონული სადგურების გახსნა.	1977 წლის აგვისტო-სექტემბერი ყველა რაიონში	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი (ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური).
3	რესპუბლიკის ზოოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში „მწვანე და ცისფერი საგუშაგოების შექმნა“.	1977 წლის სექტემბერი	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახ-

1	2	3	4
			ლების სამმართველო. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე).
4	ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მიზნით სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მშობლიური ბუნებისადმი დამოკიდებულების, მისი მნიშვნელობის, დაცვის გაძლიერების, ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხებზე მოხსენებების, ლექციების, საუბრების, კონფერენციების, განხილვა-დისპუტებისა და საინტერესო შეხვედრების ჩატარება. —მშობლიური ენისა და ლიტერატურის. ბიოლოგიის, ზოოლოგიის, ფიზიკის,, გეოგრაფიისა და სხვა გაკვეთილებზე საპროგრამო მასალასთან აღნიშნული საკითხების დაკავშირება	ყოველწლიურად	ს ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური, ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგური).

1	2	3	4
5	მოსწავლე ახალგაზრდობის პრაქტიკულად ჩაბმა სასარგებლო ნადირ-ფრინველის დაცვის, გამრავლების, კვლავწარმოებისა და ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; —ლაშქრობა-ექსპედიციების მოწყობა, ბუნების მოვლენებზე, ფაუნასა და ფლორაზე, დაკვირვება-განზოგადება, სამკურნალო მცენარეთა გამოვლენა, კვლევა-შესწავლა და დამზადება.		„ „
6	ბუნების ნორჩ დამცველთა მე-II რესპუბლიკური შეკრება.	1977 წლის ოქტომბერი თბილისი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.
7	მსოფლიო კონფერენციისადმი მიძღვნილი ბუკლეტის „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“ მომზადება-გამოცემა	1977 წლის აგვისტო-სექტემბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე).
8	ბუნების დაცვის საქმეში რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის საქმიანობის ამსახველი გამოფენის მოწყობა.		აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური).

1	2	3	4
9	ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური შეკრება.	1978 წლის ნოემბერი თბილისში	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური).
10	პედაგოგიურ პრესაში ბუნების დაცვის სწავლების მსოფლიო კონფერენციის მსვლელობისა და შედეგების განზოგადება	1977 წლის ოქტომბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო (გაზეთ „სახალხო განათლება", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" შესაბამისი დამატებანი).
11	ნორჩ მევენახეთა I რესპუბლიკური შეკრება.	1977 წლის ნოემბერი გურჯაანი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური).
12	ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა 21-ე რესპუბლიკური შეკრება.	1978 წლის ივლისი-აგვისტო ბორჯომის ხეობა	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგური).
13	ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაზეთ „გაზაფხულის" სპეციალური ნომრის მომზადება-გამოცემა.	1977 წლის ოქტომბერი	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო—(პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე).

1	2	3	4
14	ნორჩ ტურისტ-მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური ესტაფეტა—„მშობლიური გზებით“.	1978 წლის აპრილ-მაისი	ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი—(ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური).
15	ბუნების დაცვის სწავლების აქტუალური საკითხების შესახებ მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების დამუშავება	1978 წლის ოებერვალი	ამღზრდელობითი მუშაობის სამმართველო,—სკოლების სამმართველო (ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 449—მეტყველებაში სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ 3
2. დადგენილება—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციის დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ 7
3. ბრძანება № 457—მოსწავლეთა XI საკავშირო ოლიმპიადის შედეგების შესახებ 9
4. ბრძანება № 470—თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ 11
5. ბრძანება № 480—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 15
6. ბრძანება № 498—სკოლებისა და სკოლისგარეშე დმწესებულებებში ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესახებ 19

ფ-275
1.6044

რედაქტორი ნ. ა. ფოფხაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XI-77 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 1,75

შეკვ. № 1277 უე—04275 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19
Типография № 11, Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министерство Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19